ოქმი:**ო12. 3725325001**

თარიღი:**21/11/2025**

ოქმი N 1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2025 წელი, 20 ნოემბერი
ქ.ოზურგეთი
16:00-17:00 საათი

თავმჯდომარეობდა: ტატა ბარამიძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. გოლიაძე, ნ. ნადირაშვილი, ხ. ცერცვაძე, დ. ხურციძე. ქ. ვასაძე, ვლ. ხავთასი, ნ. ჭანიშვილი, კ. კვაჭაძე, ი. დობორჯგინიძე, გ. კალანდაძე, თ. ქავთარია, მ. ცქვიტინიძე, თ. ბადალაშვილი, გ. ჩავლეშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: ტატა ბარამიძე

თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ტ. ბარამიძემ კომისიის წევრებს მიაწოდა მოკლე ინფორმაცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტზე. აღნიშნა, რომ საკრებულოში 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი შემოტანილი იქნა საქართველოს ადგილობრივი თვითმართველობის და საბიუჯეტო კოდექსებით გათვალისწინებულ ვადებში, დადგენილი პროცედურების დაცვით, შემდეგ პროექტის გასაცნობად სიტყვა გადასცა თანამომხსენებელ პ. ჭყონიას. თანამომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები. აღნიშნა 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი განსაზღვრულია 47407,0 ათასი ლარით, ანუ მიმდინარე წლის ბიუჯეტს აღემატება 4007,0 ათასი ლარით, რაც პროცენტულად შეადგენს 9,23%-ს. ზოგადი ინფორმაციის მიწოდების შემდეგ თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ კომისიის წევრებს მიაწოდა კონკრეტული ინფორმაცია ცალკეული პრიორიტეტებით გათვალისწინებული პროგრამების, ქვეპროგრამების დაფინანსებაზე. განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კომისიის ფუნქციის შესაბამისი დარგებისა და პროგრამების დაფინანსებას, ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ, უპასუხა დასმულ შეკითხვებს-ქალთა ოთახის ფუნქციონირებისა და დაფინანსების, მოქალაქეთა სამედიცინო დახმარების

პროგრამის თაობაზე. პროექტის მიმართ კომისიის სხდომაზე დაფიქსირდა კონკრეტული შენიშვნები, კერძოდ: დასაზუსტებელი ბიუჯეტის პროექტის პრიორიტეტებით განსაზღვრული პროგრამების, ქვეპროგრამების განხორციელების ლოკაციები, პროექტი უფრო მეტად უნდა იყოს გამჭვირვალე, მისაღები და ადვილად გასაგები რიგითი მოქალაქეებისთვის.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება, არსებული კანონმდებლობის შესაბამისდ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი მუდმივმოქმედი კომისიების, ფრაქციების მიერ გამოთქმული შენიშვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით დაუბრუნდეს მუნიციპალიტეტის მერიას.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი განხილვისას დაფიქსირებული შენიშვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით დაუბრუნდეს მუნიციპალიტეტის მერიას.

ტატა ბარამიძე

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი